ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!



# იმედი

№ 5
1990.



წმინდა ილია მართლის საზოგადოების ქობულეთის ფილიალი

კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი- კოტე ბაბუნაშვილი იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისიის მიზანი იყო საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა ამერიკის მოსახლეობისადმი, კავშირის დამყარება ქართველ ემიგრანტებთან და პარტიული დოკუმენტებისა და ერის ნების უწყებების გადაცემა საერთაშორისო ინსტანციებისათვის.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

კითხვა: ბატონო კოტე, გთხოვთ პოლიტიკური შეფასება მისცეთ თქვენს ვიზიტს სან-დიეგოში.

პასუხი: სან-დიეგოს ფესტივალი ჩაფიქრებული იყო, როგორც ქართული ხელოვნების დემონსტრირების ფორუმი, მაგრამ დღეს-დღეობით შეუძლებელია საქართველო წარსდგეს რომელიმე ფორუმზე ისე, რომ არ აისახოს საქართველოში მიმდინარე პროცესები. სან-დიეგოში საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმ. ილია მართლის საზოგადოებისა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრთა ვიზიტი, სწორედ ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლის ასახვას წარმოადგენდა. ვიზიტს არ მოჰყოლია მაღალი დონის პოლიტიკოსებთან შეხვედრები და მოლაპარაკებები. ეს აიხსნება იმით, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობა ჯერ-ჯერობით არ განიხილება სათანადო დონეზე.

სან-დიეგოში ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა ყოფნის მოკლე პოლიტიკური შეფასება შეიძლება შემდეგნაირად მოვახდინოთ:

ა/ აშშ-ს პრესაში დაიწერა რიგი სტატიებისა, რომლებიც ჩვენს მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციებს ეძღვნებოდა. დეზინფორმაციის ზღვაში, გაჩნდა სწორი ინფორმაციის პატარა კუნძული, საქართველოში მიმდინარე პროცესების გარშემო.

ბ/ საქართველოში საერთაშორისო მისიების ჩამოსვლის მოთხოვნა გადაეცა გაეროს, აშშ კონგრესს, რიგი ქვეყნების საელჩოებს.

გ/ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მასალები /პროგრამა, მიმართვები/ გადაეცა კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, რითაც საშუალება მიეცემა ამ და სხვა უნივერსიტეტის პოლიტოლოგებს, გაეცნონ ამ მასალებს და გლობალურ ანალიზში გამოიყენონ ისინი. რათქმა უნდა პოპულარიზაციის მომენტიც არ არის გამორიცხული. ამას გარდა აღსანიშნავია ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა აშშ-ი გამგზავრების პრეცენდენტი. აშშ-ი ვიზიტი სასარგებლო იყო, თუმცა მას ვერ დავარქმევ დიდმნიშვნელოვანს - მიღწეული შედეგების მიხედვით. გადაიდგა პირველი ნაბიჯი. იმედია, მომავალი მეტს მოგვიტანს.

კითხვა: გთხოვთ გაგვაცნოთ, თუ როგორია მასების პოლიტიზირების დონე და რა შეხედულება აქვთ საქართველოზე?

პასუხი: მასების პოლიტიკურ დონეზე საუბარი ძნელია, ვინაიდან მასებთან კონტაქტი არ გვქონია, თუმცა ცალკეული ურთიერთობიდან დამრჩა მკაფიო შთაბეჭდილება: ამერიკელები თავიანთი ბუნებით კოსმოპოლიტები არიან. მათთვის ყოველგვარი ნაციონალური მეორე პლანზე დგას და უფრო, ოჯახური ცხოვრებისა და კულტურული მოღვაწეობის ატრიბუტია. მთავარია ბიზნესი, ნრა აქვს მნიშვნელობა ვინ აკეთებს ამ ბიზნესს, იაპონელი, ჩინელი თუ ფრანგი. ისინი, ყველანი ამერიკელებად თვლიან თავს, ხოლო თავის საბ[illegible]ერს ხაზს უსვამენ მხოლოდ ოჯახში, ან კულტურულ წრეებში /სათვისტომოებში/. თვალშისაცემია ამერიკელთა პატრიოტიზმი, მაგრამ ეს არა ეროვნული პატრიოტიზმია /თუმცა ასე იხსენებენ/, არამედ სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი. მათ უყვართ თავისი ქვეყანა, რაც მთავარია, ყოველი მათგანი გრძნობს ამ ქვეყნისგან ზრუნვას, ამიტომ ბოლომდე მზად არიან მის დასაცავად ყოველგვარი ხელყოფისაგან. ძალიან გავრცელებულია ამერიკის დროშის გამოკიდება საცხოვრებელ სახლებზე, დაწესებულებებზე, ქუჩებში, მაგრამ ეს უფრო სახელმწიფო პატრიოტიზმია, ვიდრე ეროვნული /ეთნიკური/. როგორც უკვე აღვნიშნე, პოლიტიკით დაინტერესებულია ძირითადად მხოლოდ მაღალი დონის პოლიტიკოსები. საშუალო ამერიკელს პოლიტიკური ინფორმაცია უფრო აინტერესებს ინფორმაციის საერთო ნაკადში, ვიდრე თავად პოლიტიკა. საშუალო ამერიკელი დაინტერესებულია ბიზნესით.

კითხვა: ბატონო კოტე, გთხოვთ მოგვაწოდოთ მოკლე ინფორმაცია თქვენი მეგობრების გუდავასთან შეხვედრის შესახებ.

პასუხი: ედუარდ გუდავა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია. იგი აგრეთვე არის ნიუ-იორკში არსებული ორგანიზაციის "სსრკ-ში [illegible] ორგანიზაციის" დირექტორი. ბატონი ვაჟა კილაძე და ბატონი თედო პაატაშვილი ჩვენზე ორი-სამი დღით ადრე გაემგზავრნენ სან-დიეგოდან ნიუ-იორკში, ვინაიდან ყველას გამგზავრება ფინანსურ სიძნელეებს წააწყდა. მათი მასპინძელი ნიუ-იორკში იყო ბატონი ედუარდ გუდავა. მისი ოფისი განლაგებულია 41-ე ქუჩაზე ნიუ-იორკში. ჩვენმა მეგობრებმა ნაყოფიერად იმუშავეს ბატონ ედუარდ გუდავას ხელშეწყობით, ხოლო 14 ნოემბერს, იქვე გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც მეც დავესწარი, რადგან უკვე ნიუ-იორკში ვიმყოფებოდი. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ ბატონმა ედუარდ გუდავამ დიდი დახმარება გაგვიწია აპარატურის შეძენაში. /ჩამოვიტანეთ კომპიუტერი, ტელე-ფაქსი და კომპიუტერული გაზეთის სარგებლობისათვის საჭირო ქსელი./

კითხვა: თუ შეიძლება გვიამბეთ, როგორია გონების ადაპტაცია ბნელეთიდან ნათელში და უკან, ანუ მარშრუტი: სსრკ-აშშ-სსრკ.

პასუხი: აშშ-ი წასვლა დიდ იმედებთან იყო დაკავშირებული. საპირისპირო მოხდა უკან დაბრუნებისას. ძალიან მინდოდა თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ ნიუ-იორკიდან მოსკოვში ჩამოსვლა კი ნამდვილ დეპრესიაში მაგდებდა. შერემეტევო-2 აეროპორტში ვიგრძენი, რომ დავბრუნდი ქვეყნიდან, სადაც თავისუფლების ჰაერით დიდხანს ვისუნთქე, ვისიამოვნე გარშემო არსებულ თავაზიან, მომღიმარე ხალხთან ურთიერთობით, ხოლო დამხვდა ჯმუხი, უხეში ატმოსფერო, ვიგრძენი ციხეში მიმავალი კაცის განცდები, თუმცა იმედიც მასაზრდოებდა, სულ ორ საათში შევხვდებოდი ჩემს სამშობლოს, რომელიც ძალიან მენატრებოდა. ასე, რომ კითხვაში დასმულ სქემას: ბნელეთიდან- ნათელში და უკან /სსრკ-აშშ-სსრკ/ , მე შევცვლიდი სქემით: ბნელეთიდან ნათელში; ნათელიდან-ბნელეთში და ბნელეთიდან ისევ ნათელში /სსრკ-აშშ-სსრკ-საქართველო/.

## რეფერენდუმი

რეფერენდუმი ლათინური სიტყვაა                    და ნიშნავს - რაც უნდა აუწყონ. ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ რეფერენდუმი სხვა არაა, თუ არა ხალხის ნების გამოხატულების უწყება.

თბილისში, მთავრობის სახლის წინამდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციათა რეზიუმირება გამოიწვია ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ - ჩატარდეს რეფერენდუმი საქართველოში საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების მისიების ჩამოსვლის შესახებ, რათა საერთაშორისო სამართალში განხილული იქნეს 1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის ფაქტი და მისგან გამომდინარე აგრესიის აღკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე.

ე.წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ შემოთავაზებულ "ეროვნულ პროგრამაში" ნათლად ჩანს, თუ რა საფრთხე მზადდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაამდეგ.

ვინაიდან 1921 წლის 25 თებერვალს დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკა ოკუპირებული და ანექსირებული იქნა რუსული მპყრობელური იმპერიის ჯარებითა და ვინაიდან საქართველოს უზენაეს კანონმდებელს - ქართველ ხალხს არ მოუხდენია იურიდიული ძალის მქონე დემოკრატიული პლებისციტი საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებისა, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება დღემდე, არის არაკანონიერი საქართველოში.

კომპარტია, აქედან გამოსავალს პოულობს შემდეგი გზით: ანექსიის ფაქტს აღიარებს, როგორც ისტორიულ წარსულს და დემოკრატიული /თუმცა ეს შეუძლებელია/ არჩევნებით შექმნილი ახალი ხელისუფლება დადებს სამოკავშირეო ხელშეკრულებას რუსეთთან. ეს კი ნიშნავს, საქართველოს ნებაყოფლობით შესვლას სსრ კავშირის შემადგენლობაში.

გამომდინარე აქედან, საჭიროა აქტიური მოქმედება, რათა აღიკვეთოს საქართველოსთვის უზორობელი ძალის - კომპარტიის მცდელობა, ერი გადაჩეხოს უფსკრულში. სწორედ ამ მიზნის საწინააღმდეგოდაა მიმართული საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების იდეა, რომლის შესახებაც ჯერ მხოლოდ აპრიორული საუბარი გვიწევს, მაგრამ გვჯერა, რომ დღეს, როცა საქართველოში პოლიტიკური აზროვნების დონე საკმაო სიმაღლეზე დგას, საქართველოში მცხოვრები ყველა კეთილი ნების ადამიანი აქტიურად ჩაებმება რეფერენდუმის ჩატარების პროცესში და საერთაშორისო მისიების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის განხილვას დაუჭერს მხარს. ეს ფაქტიურად იქნება ვერდიქტის გამოტანა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელიც უკანონოდ, ძალისმიერად არის დამკვიდრებული საქართველოში.

რეფერენდუმის ჩატარების მექანიზმი ზოგადი პრინციპით ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ უმრავლესობის ნება რეალურად გამოიხატოს. დაწვრილებით სქემას შემოგთავაზებთ, შესაბამისი დოკუმენტების შემუშავების შემდეგ.

დღევანდელი დღის კონიუნქტურის განხილვით ვრწმუნდებით, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა, რადგან ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს უკვე შესწევთ უნარი, ისეთი დემოკრატიული მექანიზმის განხორციელებისა, როგორიცაა რეფერენდუმი.

თუ რა მოთხოვნებს წაუყენებს საქართველო საერთაშორისო მისიებს ჩამოსვლისას, შეიძლება შემდეგ ქვეპუნქტებად ჩამოვაყალიბოთ:

1. საქართველო იქცეს საერთაშორისო სამართლის კვლევის ობიექტად და აქედან გამომდინარე, ისეთ სამთავრობო ორგანიზაციებში, როგორიცაა ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, გაერო და სხვა, აღიძრას საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

2. განხილული იქნეს ეთნოკონფლიქტების მიზეზები და მიეცეს პოლიტიკური შეფასება საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე.
3. შესრულდეს ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებზეც სსრ კავშირს ხელი აქვს მოწერილი.

აი, ძირითადი საკითხები, რომლებიც განხილული უნდა იქნეს საქართველოში საერთაშორისო მისიების მიერ, მაგრამ ქართველი ხალხი სხვის ანაბარად არ უნდა იყოს, დროა უარვყოთ ე.წ. პარლამენტური ბრძოლის გზა, უკუვაგდოთ სახალხო ფრონტისეული მარაზმი პოლიტიკაში. განა სად ყოფილა, რომ ერი კაბინეტებში მიღებული დადგენილებებით განთავისუფლდეს. ვფიქრობ, მხოლოდ ურყევი ნებისყოფით, ეროვნული დაუმორჩილებლობითა და ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროს თანადგომით დავიბრუნებთ იმას, რაც წაგვართვეს.

ერი, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის – მოიპოვებს თავისუფლებას!

კობა ხაბაზი.

## ოსეთის შესახებ

თითქმის ყველა ქვეყანაში ავიწროებდნენ ებრაელებს, სდევნიდნენ, ატარებდნენ მათ მიმართ გენოციდს – აქაოდა ეშმაკები და დაუნდობლები არიანო. ამასთან საშინლად ჭკვიანებიო. რა ვიცი, რას და რას არ ასახელებდნენ მიზეზად, მაგრამ საქართველოში ასეთი რამ თავიდან არ ყოფილა. დაინახეს რა, რომ ებრაელებთან კარგად ვცხოვრობდით, მავანს და მავანს ეს არ მოეწონა და ასეთი ჭორები დაყარა: ებრაელები ბავშვებს იტაცებენ, მერე სისხლს სწოვენ და სვამენო. ეს ჭორები საქართველოშიც გავრცელდა, მართალია მითქმა-მოთქმაც გაჩნდა, მაგრამ არც ერთ ქართველს ხელი არ აუწევია მათ შესავიწროებლად, თუმც შიში კი გაუჩნდა მაგრამ მადლობა უფალს, ყოვლისშემძლეს, რომ ისრაელის მიწას მოწყალების თვალით გადმოხედა. ებრაელთა დიდმა ნაწილმა სამშობლოს მიაშურა. სამშობლოს მიაშურეს ქართველმა ებრაელებმაც და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულებთან ერთად შექმნეს ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო და დაიწყეს ბრძოლა საკუთარი მიწების დასაბრუნებლად, რასაც კრემლი სულ სხვა კომენტარს უკეთებს, მუსულმანური სამყაროს გულის მოსაგებად. მაგრამ ებრაელებს საქართველო არ დავიწყებიათ. თუ რა გააკეთეს ქართველმა ებრაელებმა საქართველოსათვის, ეს ძვირფასო მკითხველო, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. მე კი აი, რაზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება – თუ /მიუხედავად ბევრი პროვოკაციებისა/ ებრაელებს არ ვავიწროებდით, რომელთაც როგორც მოგახსენეთ თითქმის ყველგან სდევნიდნენ, მაშინ რა გაგვაგიჟებდა და რისთვის დავერეოდით აფხაზებს, აზერბაიჯანელებს და ოსებს? ასეთი რამ აზრადაც არ მოგვივიდოდა, რომ არა ის "მესამე" პირი, კრემლი, რომელსაც ერთ მუშტად შეკვრით ვემუქრებით, საკუთარ ხსნას ხედავს იმაში, რომ როგორმე იმ ერებში, რომლებიც ახლა თავისუფლებისათვის იბრძვიან, ბრძოლის

მიმართულება შეცვალონ და ეთნოკონფლიქტებში გადაზარდონ. ამით ისინი მთელ მსოფლიოს დაუმტკიცებენ, მე რომ არა, ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ესენი ერთმანეთს დახოცავდნენო. ისინი ეფერებიან ეთნოკონფლიქტების გამჩაღებლებს, აქეზებენ მათ, რათა საბოლოოდ "მჩაგვრელებს" წითელი მხედრები მიუსიონ, ალესილი ნიჩბებითა და მომწამვლელი გაზებით შეიარაღებულები. აზერბაიჯანულმა დასახლებამ ქვემო ქართლში რა დღე დაგვაყენა, კარგად იცით. აფხაზებმა ხომ დაღვარა ძმათა სისხლი და ჩვენც იძულებულები გავხდით თავი დაგვეცვა. ახლა ე.წ. სამხრეთ ოსეთმაც გამოყო ფეხი და მეც ბანაკ-ბანაკო დაიძახა. ხელი თოფს მოჰკიდა და ქლარუნ-ქლარუნი კი კარგი სცოდნიათ, როცა საბჭოთა მილიცია უდგათ გვერდში.

მე, იმ დროს იქ გახლდით და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე. გადმოგცემთ ფაქტებს:

სოფელი ავნევი და ნული ქართველებითაა დასახლებული. ირგვლივ ოსური სოფლები აკრავს. ამ ორ სოფელში ზნაურიდან "ვილისებითა" და "ბეტეერებით" /ასე უწოდებენ დაჯავშნულ სამხედრო მანქანას, რომელსაც ტყვიამფრქვევი უყენია/, ხშირად ჩამოდიოდნენ ოსი მილიციელები და ხალხს აგინებდნენ, არბევდნენ. ისროდნენ ტყვიამფრქვევებიდან... ერთხელ სოფ. ნულში ახალგაზრდა დაჭრეს, ~~მაგრამ~~ მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია ჩვენს იქ ჩასვლამდე. შემდეგ ამავე სოფელში სამმა გოგონამ ეროვნული დროშა დაკიდა. გოგონები სასტიკად სცემეს. ჩვენი ჩასვლის შემდეგ კი, იმ სოფლიდან ფეხი ამოიკვეთეს. სოფ. ავნევიდან ცხინვალში შვილის საძებრად წასული მამა ცემით მიასავათეს. მის თანმხლებ მილიციელს იარაღი წაართვეს, ცემა არც მისთვის დაუკლიათ. შემდეგ ავნევში გამორეკეს ფეხით. ეს მოხდა 26 ნოემბერს. გარდა ამისა, ოსები გზებს კეტავდნენ, ქართველების მანქანებს ჩხრეკდნენ, როგორც მოგახსენეთ სცემდნენ კიდეც ბევრს.

პიკეტები ჩვენც მოვაწყვეთ, მაგრამ იმათგან განსხვავებული. თუ მანქანაში ხნიერი ქალები და ბავშვები ისხდნენ, ისინი ძირს არ ჩამოგვყავდა, რომარ შეგვეწუხებინა. ერთხელ, როცა სოფ. ავნევში ორ ოსურ ოჯახში ასაფეთქებლები ამოვიღეთ, სოფლელებმაც გვითხრეს, რომ ამ სოფელში მცხოვრები ოსები ყველაზე აგრესიულად იქცეოდნენ და სწორედ ისინი სცემდნენ სასტიკად ქართველებს. როცა მათ ეს შეახსენეს, ორმა მათგანმა პატარა ბავშვებივით დაიწყეს ტირილი და მუდარა – არ დაგვხოცოთ, არ გვცემოთო... ჩვენ რათქმა უნდა ამას არ ვაპირებდით, მაგრამ ზიზღი კი აღგვეძრა, როცა წარმოვიდგინეთ, თუ როგორ სიამაყითა და შეუბრალებლობით სცემდნენ ქართველებს, როგორ ვაჟკაცურად მოიღერებდნენ ყელს ამის შემდეგ და მამალივით გაფხორილები გაივლიდნენ. ჩვენ კი, უცებ შესაბრალის არსებებად გვევლინებიან...

ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ჩვენი წინაპრები, ასეთ ხალხს ძმებს უწოდებდნენ. ამ ხალხს ალბათ ყველაზე ძლიერებად ქართველები ესახებოდათ მაშინ. ახლა რუსები გამოჩნდნენ და ბევრსაც დაავიწყეს, თუ ვისი ლუკმა-პურით საზრდოობდნენ წლების განმავლობაში.

მინდა გადმოგცეთ მეტად შემზარავი და დამაფიქრებელი ერთი ფაქტიც:

26 ნოემბერს, სოფ. ფლოვში გამოგვიძახეს, ამ სოფელში ერთ-ერთი ოსური ოჯახიდან ტყვიას უშენდნენ ქართულ მოსახლეობას. როცა ამ ოჯახში შევაღწიეთ, ვნახეთ მხოლოდ 4-5 წლის ბავშვი, რომელიც უპატრონოდ მიუტოვებიათ, თვითონ კი დამალულან. მე მგონია, ძვირფასო მკითხველო, აქ კომენტარი ზედმეტია, იმის მოთხრობა, თუ რა ხდება ჩვენს სამაჩაბლოში, აღუწერელია, მაგრამ გადმოცემული ფაქტებიც საკმარისია, წარმოიდგინოთ, თუ რა გულისა და გონების ადამიანებთან გვაქვს საქმე...

იქნებ ზოგიერთები ახლა მაინც მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კარაქიანი პურისა და ტკბილი ჩაის მირთმევას ყოველ საღამოს, ხმელა მჭადი და შენი თავის ბატონ-პატრონობა სჯობია. ის სჯობს, რომ შენი შვილი 2 წლით სადმე კამჩატკაზე კი არ დაიკარგოს, არამედ შენს გვერდით იყოს, შენს ჭკუაზე ზრდიდე... ადამიანად ზრდიდე, რომ შენც გამოგადგეს, თავის თავსაც და საქართველოსაც.

საქართველოს ისტორია განუყოფელი ნაწილია აჭარისა და ამიტომაც უფრო თამამად უნდა აღვმართოთ ეროვნული მოძრაობის დროშა დღეს აჭარაში, რადგან ერთიანობის გარეშე შეუძლებელია მტრის დამარცხება, ცალ-ცალკე ბრძოლით ჩვენ დავმარცხდებით, რაც მეორედ სიკვდილის ტოლფასია.

ქართველი კაცი ყოველთვის ნატრობდა, მეორედ სიკვდილს ნუ მოვესწრებიო... ერთხელ ხომ განგმირა ისინი ჩვენმა მტრებმა, მაგრამ ვერა, ვერ დაგვამარცხეს! და დღეს, ჩვენ თუ დავეცით, მაშინ არანაირი უფლება აღარ გვექნება შთამომავლობას ამაყად ველაპარაკოთ დავითზე, თამარზე, ფარნავაზზე, ერეკლეზე, სხვებზე და სხვებზე... როგორღა გამოვაცხადოთ თავი მათ ღირსეულ შთამომავლობად?!...

აჩიკო ხუციშვილი.

**ინფორმაცია:** ამ დღეებში ქობულეთში ერთ მეტად სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი: შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი 100-კაციანი ჯგუფი, რომელიც ქობულეთში მცხოვრები ყველა არაქართველი წარმომადგენლისათვის არის გახსნილი და რომელსაც სათავეში უდგას საზოგადოება "ცოდნის" პასუხისმგებელი მდივანი – ბადრი გუგუნავა. საზოგადოება ხელს შეუწყობს ყველა დაინტერესებულ პირს შეასწავლოს ქართული ენა და მათთვის საცნაური გახადოს ქართული ენის სიმდიდრე, მისი ამოუწურავი მარგალიტების საღარო.

ეს მეტად კეთილშობილური და მამულიშვილური საქმეა, ამიტომაც, წმინდა ილია მართლის საზოგადოება მიესალმება ამ კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენი ხვალინდელი დღისთვის და წარმატებებს უსურვებს მათ.




როგორც გაზეთის წინა ნომრიდან ვიუწყებოდით, წმინდა ილია მართლის საზოგადოების ქობულეთის ფილიალმა და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ 7 ნოემბერს მოაწყო საპროტესტო მანიფესტაცია.

მანიფესტაციის მონაწილეებმა "დიდ ბელადს" საჩუქრად მიუტანეს პორტრეტი, რომელიც ნათლად გამოხატავს ლენინის ნამდვილ შინაგან ბუნებას.

ქობულეთის მოსახლეობამ ჭეშმარიტად მიაგო "კეისარს კეისრისა და ეშმაკს ეშმაკისა!"

**ინფორმაცია:** ამ დღეებში დააწინაურეს გენერლის ჩინის მინიჭებით, /რათქმა უნდა ამხანაგი/ – ბ ე ჟ ა ნ ი ძ ე.
მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ბათუმში – 1988 წლის 10 დეკემბრისა და ქობულეთში – 11 ოქტომბრის აქციების დარბევაში.

ქობულეთის წმინდა ილია მართლის საზოგადოება და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია ულოცავს მას ამ დიდი ჯილდოს დამსახურებას და უსურვებს, წარმატებით გამოეყენებინოს ეს ახალი ჩინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ფასი 1 მან.

წმინდა ილია მართლის
და გაზეთ „ივერიის" რედაქციას შე-
გიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფ.
ნომ: 31-63 [illegible], 45-07 [illegible]